

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი თავბერიძე

განათლების მნიშვნელობა დასაქმების ბაზრის განვითარებისათვის
ტურიზმში

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მეტრეველი

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის "-----" -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

თბილისი

2019 წელი

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

ABSTRACT

The Thesis Work "**Importance of Education for Development of the Employment Market in Tourism**" aims at identification of the problems at the labor market in Georgia and at study of the impact thereof on the imbalance between the demands and supply of the tourism professions and development of the employment market. The work consists of 169 pages and according to the instructions for registration of the Thesis for obtainment of the doctoral academic degree, includes: the title page; signature page; copyright page; resume in two languages (Georgian, English), context (index), tables, diagrams and the list of the pictures, as well as the annexes. The text mostly consists of the introduction, review of the literature, three chapters, conclusions and the bibliography.

Chapter I of the Thesis: "**Tourism – the Key Sector of Development of the World Economy**" consists of three sub-chapters.

1.1. "Key Factors of Sustainable Development of Tourism" – characterizes the importance of the non-consumer attitude towards the resources under the condition of the sustainable development of tourism. It offers eco-tourism as an important instrument for sustainable development of tourism, environmental education, ecological awareness, new job opportunities and an increase of economic incomes. The World Economic Forum research material revealed the problems and the unfavorable situation in the country on the institutional, as well as the organizational level in environmental protection and sustainable development of tourism, which to a great extent are related to the low awareness of the decision-makers about the sustainable tourism.

1.2. "Tendencies and Directions of Development of the World Tourism" – based on the WTTC and UNWTO data, analyzes the role and importance of tourism in the inflow of the international travelers and new job opportunities. It is noteworthy that the developing countries, within 10 upcoming years, will host more tourists than the developed countries. The hereof tendency mostly aims at increase of the incomes of the countries by means of development of tourism, which is in direct connection with the new job opportunities and eradication of poverty.

1.3. "Role of Tourism in Georgian Economy" – tourism is considered as the priority direction of the economy of Georgia; hereof sub-chapter analyzes the study of the World Travel and Tourism Council (WTTC) on Georgia, according to which the index of employment in tourism in 2018 achieved 7.9% of the employment index in general. According to the forecasts, tourism will ensure new 546 000 job opportunities in Georgia for 2028, which will constitute 31.2% of the general index of the country. Hereof forecast data indicates the fact that due tourism development policy in the country will facilitate to eradication of poverty, which is one of the acutest problems of the country.

Chapter II of the Thesis: "**Tourism Educational System and Theory and Practice of Development of Employment Market**" consists of three sub-chapters:

2.1. "Tourism Development System in EU Countries and Georgia" considers the EU policy and tourism education system in the member states; the reforms in the educational system of Georgia in view of harmonization/approximation with EU standards. The weakness of the educational system of Georgia is evidenced on the basis of the study analysis related to the WTTC competitiveness characteristics and the indices. The studies reveal the unfavorable level of education in tourism educational system of Georgia, including the problems of the link of education with the labor market and development of the entrepreneurial skills at all stages of education.

2.2. “Theoretical Basics of Labor Market Development and Analysis of the World Experience of Institutional Arrangement” considers the theoretical basis of labor market development, underlines the necessity of partition of labor market according to the demands and supply of labor outcomes. Based on the world scientific opinions, the sub-chapter considers the key provisions of the employment theory, studies and characterizes the employment policy and the instruments of its institutional arrangement. The researches by the world leading scientists, within the labor market active and passive policy, reveal that the employment mechanism varies according to the countries as the option of the policy instruments is conditioned with the economic state of the country and political and social factors;

2.3. “Contemporary Methodology of the Statistic Data on Employees in Tourism” considers and analyzes the scarcity and unreliable nature of the empiric material and statistical studies necessary for development of labor market and planning of the new job opportunities in tourism, which impedes to due perception of the problems existent in the sphere and making the adequate steps in employment market development policy. Correspondingly, we have studied and analyzed the “International Recommendations of Tourism Statistic Data for 2008” providing the new methodology and directions of employment statistic in tourism.

Chapter III of the Thesis: **“Demand-Supply Problems of Tourism Labor Market and Development Prospects in Georgia”** consists of three sub-chapters.

3.1. “Current State of Labor Market Development in Georgia in Tourism Direction” studies and analyzes the labor market problems and challenges in Georgia, especially the triggers, tendencies, and structure of youth unemployment, as well as the main directions in tourism sphere and demanded professions. The sub-chapter analyzes demands and supply tendencies at the labor market in tourism sphere of Autonomous Republic of Adjara.

3.2. “Study of Demand-Supply Problems of Tourist Professions in Georgia (on the example of Adjara AR) – deriving from the unprecedented growth of the number of tourists in one of the most popular destinations of Georgia – Adjara region, we have studied the problems entailed with imbalance between the demand and supply on the labor market, which is in direct connection with the challenges in the tourism education system in the region. We have studied the recruitment, training, and employment of highly qualified personnel by the higher and vocational institutions in Adjara. The study revealed the problems mostly related to low qualification of the pedagogues, scarcity of the academic-methodological material, untargeted practice and internship, infrastructural level, low motivation of the students. The study revealed that the tourism industry enterprises do not make emphasis on employment of certified specialists due to their low professional skills. We have developed the recommendations on the basis of analysis of hereof problems for elimination thereof.

3.3. “Capacity of Solution of the Tourism Labor Market Problems in Georgia by means of the Modern Employment Factor – “Tourism Talent” – this sub-chapter analyzes the WTTC study on “Global Tourism Talent” concerning the impact of the deficit of the professional personnel in tourism on the global economy. The sub-chapter studies the problems entailed with the scarcity of the professional personnel at the tourism labor market in Georgia conditioning low level of competitiveness of the field. In view of addressing the problem, the Thesis develops and offers the cooperation model between the tourism industry, educational organizations and the Government for attraction of “tourism talents”; the work develops remedies for elimination of imbalance between the demand and supply at tourism labor market by means of “alluring” of the “tourism talents”.

In the conclusion and recommendations part of the Thesis, you will see 10 conclusions and 10 recommendations. The recommendations underline that against the rapidly changing background of the world tourism challenges, it is expedient and necessary to ensure tourism education from the very early age and to intensify professional skills, extend the human resources for attraction of the specialists from other fields. The respective state agencies shall outline not only the quantity but the level of education and professional skills necessary for tourism development in short, average and long-term run. It is the only way for elimination of imbalance between the demand and supply at the tourism labor market in Georgia.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ტურიზმიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება - სახელმწიფო ხაზინაში ტურიზმიდან პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლებია. ქვეყნის რეგიონ ებში ტურიზმის განვითარებით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლები.

ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის, თანამედროვე საქართველოსთვისაც ეკონომიკის განვითარების წინაშე მდგომ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტურიზმის შრომის ბაზრის განვითარება და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ტურიზმის პროფესიების ყველა დონეზე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და განათლებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ეკონომიკა ეყრდნობა ცოდნას, რაც შესაბამისად ცვლის, ზოგადად, ბიზნესის და ჩვენს შემთხვევაში, ტურისტული პროდუქტის წარმოების თანამედროვე უნარებს. დღეს ტურისტული საწარმოები იძულებულნი არიან, ხარისხიანი პროდუქტი აწარმოონ დროულად, გონივრული დანახარჯებით, სწრაფად და მუდმივად შეიტანონ თავიანთ საქმიანობაში ცოდნაზე დაფუძნებული სიახლე. ტურიზმში ცოდნის მიღება, წარმოება, გავრცელება, რეგულირება, მოწესრიგება და სტანდარტიზაცია სრულდება

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ.

ტურიზმი, როგორც დარგი, აერთიანებს სხვადასხვა სახის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს, მოქმედ პირებსა და აკადემიურ დისციპლინებს. მათი შერწყმა კი იწვევს გარკვეულ სირთულეებს ტურიზმში ერთიანი, უნივერსალური სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ცოდნა წარმოადგენს საწარმოო პროცესის ძირითად ფასეულობას, განათლებას და პროფესიული კადრების მომზადებას თანამედროვე დონეზე შეუძლია ტურიზმის აქციოს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ კონკურენტუნარიან სფეროდ, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს სამუშაო ადგილების შექმნასა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ადამიანურ რესურსზე, როგორც თვითონ ტურიზმის ინდუსტრიის შიგნით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც იქნება და ხორციელდება ტურიზმის დარგის სწორი და თანმიმდევრული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის კატალიზატორი წარმოებული და მიწოდებული მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება და პროდუქტია.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქვეყანა მზად არ არის ტურისტებისათვის ხარისხიანი მომსახურების გასაწევად, რადგან განათლების სისტემაში ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, ტურისტული კადრების მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არ ხდება სწავლების არც ერთ დონეზე, რაც იწვევს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში კვალიფიციური კადრების დეფიციტს.

აღნიშნული პრობლემის დაძლევის პირველი რიგის ამოცანებს წარმოადგენს: ტურიზმის საგანმანათლებლო სტანდარტების და სასწავლო-მეთოდური მასალების შექმნა; ტურისტული სპეციალობებისა და საგნების პედაგოგთა პროფესიული ტრეინინგები და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უწყვეტი რეჟიმით გატარება; სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებისადმი მისადაგება;

სრულფასოვანი კომპლექსური სასწავლო პრაქტიკის დანერგვა; ტურიზმში სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა და გააქტიურება. აღნიშნული ამოცანების შესრულება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება, რომელთა დროულად შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ზოგადად, დასაქმების პრობლემის შეზღუდვას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული უმაღლესი განათლებისა და პროფესიული სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გაანალიზება; ტურიზმში დასაქმების ბაზრის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავება.

მოცემული მიზნის იმპლემენტაციისთვის დასახულ ამოცანებს წარმოადგენს:

1. ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი განათლების დონის გამოკვლევა და ანალიზი;
2. მსოფლიოს ქვეყნებისა და საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობისა და შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციების დახასიათება და შეფასება;
3. ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემაში ევროკავშირის პოლიტიკის დახასიათება და საქართველოში მისი ჰარმონიზების/დაახლოების მდგომარეობის გაანალიზება და შეფასება;
4. შრომის ბაზრის განვითარების თეორიული საფუძვლებისა და ინსტიტუციური მოწყობის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა ანალიზი;
5. ტურიზმში დასაქმებულთა სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის დახასიათება და ანალიზი;
6. შრომის ბაზარზე ტურისტულ პროფესიათა მოთხოვნა-მიწოდების

პრობლემების გამოკვლევა აჭარის რეგიონის მაგალითზე;

7. დასაქმების ბაზრის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის - „ტურიზმის ტალანტის“ დანერგვის საშუალებით შრომის ბაზრის მოთხოვნასა და ტურიზმის დარგის პროფესიული კადრების მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია ტურიზმის საგანმანათლებლო ორგანიზაციები და კერძო სექტორის საწარმოები; კვლევის საგანია დასაქმების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, საქართველოს ტურიზმის პროფესიული კადრების მიწოდებასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დისბალანსით გამოწვეული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებების შემუშავება.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. კვლევის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. ქართველი ავტორებიდან, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მ. მეტრეველის, რ. გველესიანის, ი. გოგორიშვილის, თ არმანია-კეპულაძის, ხოლო უცხოელი ავტორებიდან: ჯ. კეინზის, ა. მარშალის, ა. პიგუ, დ. მაკენზის, გ. მენქიუს, დ. ქარდის, ი. კლუვის, ა. ვებერის, ო. ათანასიოს, ა. კრუგლერის, კ. მეჯირის, მ. ჰონორატის, რ. ჯენსენისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებსა და მონოგრაფიებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და დებულებებს. ჩვენი კვლევის თეორიული საფუძველი გახდა ის ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა ტურიზმის შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსით გამოწვეულ პრობლემებსა და მათი აღმოფხვრის მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებას.

ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ნაშრომების გარდა, დისერტაციაში წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, აჭარის არ-ს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; საქსტატის კვლევებსა და მასალებს; ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025-ს და საქართველოს სხვა სამთავრობო დოკუმენტებს; საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის: გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციისა (UNWTO) და მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) კვლევებს, პროგრამებს, პროექტებს, საინფორმაციო მასალებსა და ინტერნეტ რესურსებს.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ჩვენი კვლევის მეთოდის შემუშავება მოიცავდა კვლევის ჩატარების მეთოდებისა და საგნების ერთობლიობის განსაზღვრას, აგრეთვე ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საშუალებებს. აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდს შორის გამოვყავით **დოკუმენტაციის ანალიზი** (ინფორმაციის ოფიციალური წყაროები) და **გამოკითხვა** (ინტერვიუს აღება და ანკეტირება), რომლის დახმარებით მოხდა აუცილებელი მასალის შეგროვება დასმული პრობლემის აღმოჩენის, ანალიზისა და გადაწყვეტისათვის.

კვლევის ხასიათიდან გამომდინარე გამოყენებული იქნა **თვისებრივი და რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები (ხარისხობრივი კვლევის ჩატარება ნიშნავს, რომ მიღებული მონაცემები არ ექვემდებარება რაოდენობრივ ანალიზს. თვისობრივი კვლევით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება არა ციფრები, არამედ სიტყვები. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების განმასხვავებელი პარამეტრები შეიცავენ: შეკითხვების ტიპებს, შერჩევის მოცულობას, კვლევის მართვის ხერხს, ანალიზის ტიპს).

თვისებრივი კვლევების ძირითადი მეთოდებად განისაზღვრა: ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, პროტოკოლის ანალიზი, პროექტული მეთოდები. მაგ., უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვისას გამოყენებული იქნა **სიღრმისეული ინტერვიუ** (პირადი საუბარი რესპონდენტთან) და მიღებული შეკითხვებზე დეტალური პასუხი.

კვლევების რაოდენობრივმა ტიპმა (თვისებრივისაგან განსხვავებით, პრობლემების შეზღუდულ სპექტრზე, მაგრამ დიდი რაოდენობის ადამი-

ანებზე), ინფორმაციის მიღების და შესაბამისად, კვლევის სტატისტიკური მეთოდებით დამუშავებისა და შედეგების ყველა ბენეფიციარზე გავრცელების საშუალება მოგვცა.

რაოდენობრივი კვლევების ძირითად მეთოდად გამოვიყენეთ გამოკითხვები, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან:

- ანკეტების შემუშავება, შემოწმება და ტირაჟირება;
- შერჩევის ფორმირება;
- ინტერვიუერების ინსტრუქტაჟი;
- გამოკითხვის ჩატარება და მონაცემთა ხარისხის კონტროლი;
- მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მეთოდთა საფუძველია ანკეტა, რომლის მეშვეობითაც განვახორციელეთ აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება. ანკეტის შემადგენელი შეკითხვების ერთობლიობა ლოგიკურად იყო დაკავშირებული კვლევის მთავარ ამოცანასთან.

კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებამ მოგვცა შესაძლებლობა საკვლევი ობიექტების რიცხობრივი შეფასებისთვის და პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის შესახებ. კვლევის შედეგები განვაზოგადოთ რეგიონში დღეს არსებული სასწავლო დაწესებულებებისა და ტურისტული საწარმოების მასშტაბით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული ღირებულება გამომდინარეობს თემის აქტუალობიდან - მსოფლიოში ტურიზმის გაფართოებასთან ერთად ქვეყნების წინაშე დღის წესრიგში დგას ტურიზმის განათლების სისტემატიზების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების ბაზრის განვითარების ამოცანები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კვლევით მიღებული რეკომენდაციები ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელთა პრაქტიკაში დაწერვა გაზრდის ტურიზმის დარგში ჩართული მაღალი დონის პროფესიონალთა რაოდენობას. შესაბამისად, მომსახურების ხარისხის ამაღლება და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის მიწოდება ხელს

შეუწყობს ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ქვეყანას მისცემს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას.

კვლევის შედეგები მოიცავს შემდეგ მეცნიერულ სიახლეებს:

1. *განხილული და გამოკვეთილია* გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობა, როგორც მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორი;
2. მსოფლიოს ქვეყნებისა და საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობიდან *გამოკვეთილი და აღიარებულია* დარგის როლი დასაქმების ბაზრის განვითარების მიმართულებით;
3. *დახასიათებული და სისტემატიზებულია* ტურიზმის განათლებისა და სწავლების პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში და მისი ჰარმონიზების/დაახლოების პროცესები საქართველოში;
4. *შესწავლილი და გაანალიზებულია* შრომის ბაზრის განვითარების თეორიული საკითხები და დასაქმების პოლიტიკის ინსტიტუციური მოწყობის საფუძვლები;
5. *განხილულია* ტურიზმში დასაქმებულთა სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია და *გაანალიზებულია* საქართველოს ტურიზმში სტატისტიკური კვლევებისა და მონაცემების სიმწირით გამოწვეული პრობლემები;
6. *გამოკვლეული და შეფასებულია* ტურისტული ინდუსტრიის კადრების განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით გამოწვეული დასაქმების პრობლემები აჭარის არ-ს მაგალითზე;
7. *შესწავლილია და გაანალიზებულია* დასაქმების ბაზრის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის - ე.წ. „ტურიზმის ტალანტის“ ფენომენი და მნიშვნელობა; გამოკვლეული პრობლემის ანალიზის საფუძველზე *შედგენილია* საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელი სხვა დარგებიდან „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვისა და შრომის ბაზრის განვითარების მიმართულებით;

8. ჩამოყალიბებულია დასკვნები და შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება ტურიზმის ადამიანური რესურსების მიწოდებისა და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნების დისბალანსის აღმოფხვრის სამთავრობო ღონისძიებებსა და საშუალებებს.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. პრაქტიკული თვალსაზრისით დისერტაციაში მოცემული მასალები შეიძლება იქნას გამოყენებული ტურიზმის შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის მიმართულებით, ასევე, დარგში განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების სრულყოფის საქმეში. კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლია ტურიზმში დასაქმების პოლიტიკის შემუშავებელ სამთავრობო ორგანოებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც უმაღლეს, ასევე საშუალო-პროფესიულ დონეებზე; ასევე, ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებს (სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე), ტურიზმში სხვა სპეციალობის კადრების მიზიდვისა და დამკვიდრებისათვის ტრენინგების დაგეგმვისა და მიზნობრივი პროექტების შემუშავების პროცესში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნისგან. იგი მოიცავს 150 გვერდს და თვალსაჩინოებისათვის მასში გამოყენებულია სტატისტიკური და სხვა მონაცემები 20 ცხრილის, 9 დიაგრამისა და 8 სურათის სახით. ნაშრომს თან ერთვის 95 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია და 6 დანართი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი, „განათლების მნიშვნელობა დასაქმების ბაზრის განვითარებისათვის ტურიზმში“, ეხება საქართველოს ტურიზმის განათლების სისტემასა და შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, პროფესიათა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსისა და დასაქმების ბაზრის განვითარებაზე მისი ზეგავლენის კვლევას.

შესავალში დასაბუთებულია ნაშრომის აქტუალობა; მოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები; ჩამოყალიბებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები; გადმოცემულია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და აპრობაცია.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული შრომები განათლების სისტემისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესახებ. წარმოდგენილია მოცემულ საკითხებზე არსებული შეხედულებები, განხორციელებული კვლევები და აქტუალური საკითხები.

პირველი თავი: „ტურიზმი - მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი სექტორი“ შედგება სამი ქვეთავისაგან.

პირველ ქვეთავში „ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორები“ - დახასიათებულია ტურიზმის მდგრადი განვითარების პირობებში რესურსებისადმი არამომხმარებლური დამოკიდებულების მნიშვნელობა.

გაანალიზებულია შ. როსისა და ჯ. ვოლის (1999) კვლევები, რომლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკოტურიზმისა და მდგრადობის - გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირს. მეცნიერები შემოსავლების გენერირებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გარემოსდაცვით ანუ ეკოლოგიურ განათლებას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევით გამოვლენილია საქართველოში გარემოს დაცვასა და ტურიზმის მდგრად განვითარებაში, როგორც ინსტიტუციურ, ასევე ორგანიზაციულ დონეზე არსებული არასახარბიელო მდგომარეობა და პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან მდგრადი ტურიზმის შესახებ ჯერ კიდევ არსებულ დაბალ ცნობიერებას.

მეორე ქვეთავში „მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები და

მიმართულებები“ - მსოფლიო ტურიზმის საბჭოსა (WTTC) და გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საერთაშორისო მოგზაურთა ნაკადებისა და ახალი სამუშაო ადგილების ზრდის მიმართულებით ტურიზმის როლი და მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნები უფრო მეტ ტურისტს უმასპინძლებენ, ვიდრე განვითარებული ქვეყნები. აღნიშნული ტენდენციის უპირველესი მიზეზია, მათი მთავრობების მიერ, ტურიზმის განვითარებით ქვეყნების შემოსავლების ზრდა, რაც პირდაპირ უკავშირდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სიღარიბის დაძლევის ინტერესს.

მესამე ქვეთავში „ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში“ - ტურიზმი განხილულია, როგორც საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულება; გაანალიზებულია მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მიერ საქართველოს შესახებ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით, 2018 წელს, ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობამ ქვეყანაში მთლიანი რაოდენობის 7,9%-ს მიაღწია. პროგნოზის მიხედვით კი, 2028 წელს საქართველოში ტურიზმი უზრუნველყოფს 546 000 სამუშაო ადგილს, რომელმაც მთლიანი რაოდენობის 31,2% უნდა შეადგინოს. აღნიშნული პროგნოზი მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის განხორციელებით შესაძლებელია ხელი შეეწყოს სიღარიბის დაძლევას, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას.

მეორე თავი: ”ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემა და დასაქმების ბაზრის განვითარების თეორია და პრაქტიკა“ შედგება 3 ქვეთავისაგან:

პირველ ქვეთავში „ტურიზმის განათლების სისტემა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში - განხილული და გაანალიზებულია ევროკავშირის პოლიტიკა და ტურიზმის განათლების სისტემა წევრ ქვეყნებში; აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა და აქტივობების მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას საჭიროებს ტურიზმის დარგის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის (დასაქმების) პოლი-

ტიკა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ტურიზმის სფეროს მუშაკთაგან ზოგიერთს საერთოდ არა აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება, ან განათლება მიღებული აქვს მოკლევადიან კომერციულ კურსებსა და სემინარებზე, რაც ზღუდავს მაღალი ხარისხით მომსახურებას.

ასევე, განხილული და გაანალიზებულია, ევროკავშირთან ჰარმონიზების/დაახლოების მიზნით, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები, რომელთა სისუსტეზე მეტყველებს მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლებთან და მაჩვენებლებთან დაკავშირებული კვლევების ანალიზი.

საქართველოში ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემაში დაფიქსირებული სწავლების დონის არასახარბიელო მდგომარეობიდან გამომდინარე, ძირითად პრობლემებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებასთან განათლების ყველა საფეხურზე.

მეორე ქვეთავში „შრომის ბაზრის განვითარების თეორიული საფუძვლები და ინსტიტუციური მოწყობის მსოფლიო გამოცდილების ანალიზი“ განხილულია შრომის ბაზრის განვითარების თეორიული საფუძვლები. კეინზის თეორია განსაზღვრავდა, რომ სახელმწიფო რეგულირება, რომელიც მოწოდებულია გაზარდოს საერთო დასაქმების დონე, უნდა ოპერირებდეს ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკის მაკრო პროპორციების ცვლილებაზე და არ არღვევენ ბაზრის გამანაწილებელ ფუნქციას.

მსოფლიო მეცნიერების მოსაზრებებზე დაყრდნობით განხილული და გაანალიზებულია დასაქმების თეორიის ძირითადი დებულებები. შესწავლილი და დახასიათებულია დასაქმების პოლიტიკა და მისი ინსტიტუციური მოწყობის ინსტრუმენტები. ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში შრომის ბაზარი მუდმივად განიცდის ცვლილებებს, რომლებსაც ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება განაპირობებს. შესაბამისად, ჩნდება ახალი მოთხოვნები, განსაკუთრებით, დასაქმებულთა კვალიფიკაციის

სტრუქტურების მიმართ. აღნიშნულის სისტემატიზებისა და ბაზრის მოთხოვნებთან დაბალანსების ღონისძიებებს სწორედ სახელმწიფო ატარებს დასაქმების პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც დამოკიდებულია მის ინსტიტუციურ მოწყობაზე.

მესამე ქვეთავში „ტურიზმში დასაქმებულთა სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია“ - განხილული და გაანალიზებულია ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რომელიც ბმაში და კვეთაშია (პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია) ეკონომიკის თითქმის ყველა დარგთან. შესაბამისად, ქვეყნების მთავრობები განსაკუთრებით დაინტერესებულია ტურიზმის კონტრიბუციით ახალი სამუშაო ადგილებისა და ხალხისათვის შემოსავლის წყაროს შექმნაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმში შრომის ბაზრის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების დაგეგმვისათვის საჭიროა ემპირიული მასალა და სტატისტიკური კვლევები, რომლებიც დღეს ქვეყანაში სიმწირითა და არასანდობით ხასიათდება, რაც ხელს უშლის დარგში არსებული პრობლემების სწორ აღქმას და დასაქმების ბაზრის განვითარების პოლიტიკაში ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას.

საქსტატის მიერ ტურიზმის დარგის გამოკვლევული ქვესექტორების რაოდენობრივი სიმწირის გამო, ნათელია პრობლემა, რომელიც ართულებს ტურიზმში შრომის ბაზრის განვითარების სწორი პოლიტიკის შემუშავებისა და ზოგადად, დარგის განვითარების პოლიტიკისადმი თანამედროვე მიდგომას.

შესწავლილი და გაანალიზებულია „ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008“, რომელშიც წარმოდგენილია ტურიზმში დასაქმების სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია და მიმართულებები, რომელთა გათვალისწინება საქსტატს, კვლევის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლის საშუალებას მისცემდა.

მესამე თავში: „ტურიზმში შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ მოცემულია სამი ქვეთავი.

პირველ ქვეთავში „საქართველოს შრომის ბაზრის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა ტურიზმის მიმართულებით“ - შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს შრომის ბაზრის გამოწვევები და პრობლემები, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში უმუშევრობის მიზეზები, ტენდენციები და სტრუქტურა, ასევე, ტურიზმის დარგში დასაქმების ძირითადი მიმართულებები და მოთხოვნადი პროფესიები.

მეორე ქვეთავში „საქართველოში ტურისტულ პროფესიათა მოთხოვნა-მიწოდების პრობლემების გამოკვლევა (აჭარის არ-ს მაგალითზე)“ - უპირველეს ყოვლისა, გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2018 წლის ბოლოს გამოქვეყნებული „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გაცხადებული ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმები 2019 წლისათვის, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი „ტურიზმის სექტორში მასშტაბური გადამზადების პროგრამას“ ეთმობა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ჩატარებული კვლევისა და 2019 წელს დაგეგმილი გადამზადების პროგრამის საჭიროებების უმეტესობა არ ემთხვევა ერთმანეთს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი მკვეთრად განსხვავებულია ზემოთ განხილული და გაანალიზებული კვლევებისაგან, რადგან არც ერთი 2019 წლამდე არსებული კვლევა ან არ ითვალისწინებს გამოკვეთილად აჭარის რეგიონში განათლების სისტემაში არსებულ და ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ან არის ზოგადი ხასიათის და ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დისბალანსს უკავშირდება. ჩატარებული კვლევების მიზანია აჭარის რეგიონში ტურიზმის შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირება, რაც პირდაპირ კავშირშია რეგიონში ტურიზმის განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებთან.

შესაბამისად, აღნიშნულ ქვეთავში მოცემულია ნაშრომის ძირითადი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის ჩატარების (ინფორმაციის შეგროვების) პროცესში იყო გამოყენებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისობრივი კვლევის მეთოდებმა მოგვცა შესაძლებლობა საკითხის ძირითადი, შინაარსობრივი ნაწილის გამომჟღავნებისა და მიზეზ - შედეგობრივი კავშირების დადგენის (ამჟღავნებს მიღებული ინფორმაციის სამოტივაციო და შინაარსობრივ ასპექტებს).

რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით მივიღეთ ინფორმაცია საკვლევი ობიექტის რაოდენობრივი შეფასების შესახებ. მაშასადამე, კვლევის ხარისხობრივი/თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებამ მოგვცა შესაძლებლობა საკვლევი ობიექტების რიცხობრივი შეფასებისთვის და პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის შესახებ.

კვლევები ჩატარდა 2 ეტაპად:

პირველი ეტაპი. შეხვედრა აჭარის ტურიზმის ინდუსტრიისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ტურიზმის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს - „აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის“ მონაწილეობით (2018 წლის 30 აგვისტო) სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთის მიზნით;

მეორე ეტაპი. თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება (სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით შედგენილი ანკეტებით და ინტერვიუს გამოყენებით) აჭარის ტურისტული ინდუსტრიის წინასწარ შერჩეულ 212 ობიექტში, 2 უმაღლესსა და 2 პროფესიულ სასწავლებელში, აგრეთვე სიღრმისეული ინტერვიუ (face-a-face) ჩატარდა უნივერსიტეტის 20 კურსდამთავრებულს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად დადგენილ იქნა 2014-იდან 2018 წლამდე ტურიზმის სხვადასხვა პროფილისა და განათლების დონის კურსდამთავრებულთა რაოდენობა და მათი ტურისტულ საწარმოებში დასაქმების მაჩვენებელი და გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება: პედაგოგთა დაბალ კვალიფიკაციას, სასწავლო-

მეთოდური მასალის სიმწირეს, არამიზნობრივ პრაქტიკასა და სტაჟირებას, სასწავლებლების ინფრასტრუქტურის დონეს, სტუდენტთა დაბალ მოტივაციას.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების საშუალებით შესწავლილ პრობლემებს შორის დაფიქსირდა სასწავლო პროგრამებით განხორციელებული პრაქტიკული მეცადინეობებისა და სტაჟირებების სიმწირე ან არაპროფილურობა.


საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2018 წლის მონაცემებით რეგისტრირებული: 475 განთავსების ობიექტი დან, 213 კვების ობიექტი დან და 123 ტურისტული კომპანიიდან, კვლევისთვის შეირჩა 212 ტურისტული საწარმო (შემთხვევითი შერჩევით 92 განთავსების ობიექტი, 66 - კვების ობიექტი და 54 ტურისტული კომპანია) სანდოობის ალბათობით 95% და ცდომილებით 10%. ეს ნიშნავს, რომ 100 კვლევის ჩატარებისას ამ შერჩევით 95% შემთხვევაში მიღებული პასუხები იქნებიან 10% საზღვრებში ამოსავლიდან. მაშასადამე, ვღებულობთ რეპრეზენტაციულ შერჩევას სტატისტიკური შეცდომის მინიმალური ალბათობით.

ტურისტული საწარმოებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა ვაკანსიების სახეობები და რაოდენობა, რომლებზეც არის მოთხოვნა და დადგინდა მიზეზები, რომლის გამოც ვერ ხდება დიპლომირებული სპეციალისტების დასაქმება. ასეთ მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, დასახელდა კურსდამთავრებულთა დაბალი პროფესიული უნარები და ენების არცოდნა.

კვლევის პროცესში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ტურისტულ საწარმოთა პროფილი და მათში დასაქმებულთა რაოდენობრივი სხვაობა. მაგალითად, ტურისტული ინდუსტრიის საწარმოებიდან დასაქმებულთა 51% მოდის განთავსების ობიექტებზე, 36% კვების ობიექტებზე, ხოლო 12% ტურისტულ კომპანიებზე. შესაბამისად, რთული იყო მათში კიდევ საწარმოები ჩაშლილიყო მოცულობის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული უმაღლესი და პროფესიული სკოლების მიერ 2014-იდან 2017 წლამდე ფიქსირდება კურსდამთავრებულთა შესაბამისად, 74%-იანი და 79%-იანი დასაქმება, ზემოაღნიშნული მონაცემები მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ 2019 წლის მდგომარეობით, აჭარაში ძირითად ტურისტულ საწარმოებში დასაქმებულთა 69%-ი მოდის შიდა ტრეინინგებ გავლილ და საშუალო განათლების მქონე კადრებზე, ხოლო 31%-ი ტურიზმის უმაღლესი და პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულ კადრებზე, განსაკუთრებით, სასტუმროებსა და ტურისტულ კომპანიებს უჭირთ უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ნათელია, რომ დაბალი კვალიფიკაციისა და უნარების გამო ან ხდება აღნიშნული კადრების გადამზადება შიდა ტრეინინგებით, ან მოკლე დროის შემდეგ მათ უხდებათ ტურიზმიდან სხვა დარგში გადანაცვლება.

კვლევის შედეგები. კვლევის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის არ-ში ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემის დაბალი დონე განაპირობებს განათლებასა და დასაქმების ბაზარს შორის არსებული „შეთანხმებლობას“, რაც თავის მხრივ უკავშირდება უმუშევრობის მაღალ პროცენტს რეგიონში.



დიაგრამა №1. აჭარაში ტურიზმში ინდუსტრიის სექტორებში დასაქმებულთა ანალიზი განათლების დონის მიხედვით (%-ში)

წყარო: შედგენილია დისერტანტის მიერ 212 ტურისტული ინდუსტრიის კომპანიის/საწარმოს გამოკითხვის ანკეტებზე დაყრდნობით, 2019წ.


აღნიშნული არათანხვედრის შეზღუდვა შესაძლებელია თვითმმართველობების აქტიურად ჩართვით ტურიზმის პროფესიონალი კადრების მომზადებისა და გადამზადების კუთხით. მიზანშეწონილია მათ ბაზაზე არსებული ტურიზმის სამსახურებთან ან განყოფილებებთან შეიქმნას ტრენინგ-ცენტრები, რომელთა სასწავლო პროგრამების კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს მათ გამიჯვნას 3 მიმართულებით: 1. იმ სპეციალობების სატრენინგო კურსები, რომლებზეც შრომის ბაზრის მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას, 2. გადამზადების კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის და 3. ტურიზმის პედაგოგთა გადამზადებელი სემინარები და ვორქშოპები.

აღნიშნული ღონისძიების მიზანმიმართულად განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ საჭიროა ჩატარდეს ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევები შემდეგი მიმართულებით: 1. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობებისა და მათთვის ადამიანური რესურსის რაოდენობის დასადგენისთვის, 2. ე.წ. „მისტიური კვლევა“ (კონკრეტული ქეისებით) მომსახურების ხარისხის მონიტორინგისთვის და 3. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნის მონიტორინგის მიზნით.

ტრენინგების გავლის შემდეგ სპეციალისტმა უნდა მიიღოს სახელმწიფოსაგან აღიარებული სერტიფიკატი, რაც განაპირობებს მის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

მესამე ქვეთავში „საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზრის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობები დასაქმების თანამედროვე ფაქტორის - „ტურიზმის ტალანტის“ დანერგვის საშუალებით“ - გაანალიზებულ იქნა მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს კვლევა „გლობალური

ტურიზმის ტალანტი“, რომელიც ეხება გლობალურ ეკონომიკაზე ტურიზმში პროფესიული კადრების დეფიციტის გავლენას. გამოკვლეულია ქვეყანაში ტურიზმის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული კადრების სიმწირით გამოწვეული პრობლემები, რომლებიც განაპირობებენ დარგის კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეს.



სურათი №1. ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელი „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვის მიმართულებით

წყარო: შედგენილია დისერტანტის მიერ, 2018

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ნაშრომში შედგენილი და შემოთავაზებულია ტურიზმის ინდუსტრიის, საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელი „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვის მიმართულებით; შემუშავებულია ღონისძიებები დასაქმების ბაზრის მნიშვნელოვანი ფაქტორის ე.წ. „ტურიზმის ტალანტების“ დარგში „გადმოზირებით“ და დამკვიდრებით ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრისათვის.

ნაშრომის დასასრულს დასკვნებსა და რეკომენდაციებში მოცემულია 10 დასკვნა და შემუშავებულია 10 რეკომენდაცია. დასკვნებში ხაზგასმულია, რომ ტურიზმის მსოფლიო გამოწვევების სწრაფი ცვლილებების ფონზე საჭიროა ტურიზმის სწავლება განხორციელდეს სკოლის ასაკიდან და

განათლების მომდევნო დონეებზე გააქტიურდეს პროფესიული უნარების სწავლება, ასევე ადამიანური რესურსის გაფართოება მოხდეს პროფესიული კადრების მიზიდვით სხვა დარგებიდან. სახელმწიფო დონეზე გამოკვეთილ უნდა იქნას არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ რომელი დონის განათლება და პროფესიული უნარებია საჭირო ტურიზმის განვითარებისათვის მოკლევადიან, საშუალო ვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი ტურიზმში შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა.

დასკვნები

1. გამოვლინდა საქართველოში გარემოს დაცვასა და ტურიზმის მდგრად განვითარებაში, არსებული არასახარბიელო მდგომარეობა. პრობლემები მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან გარემოს დაცვის შესახებ, ჯერ კიდევ არსებულ, დაბალ ცნობიერებას.

2. მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ სამუშაო ადგილების შექმნისა და განვითარების კუთხით, ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად სექტორს. 2017 წელს ტურიზმის დარგის განვითარებამ მსოფლიოში უზრუნ-ველყო 2 მლნ ახალი სამუშაო ადგილი. WTTC-ის კვლევის მიხედვით, 185 ქვეყნიდან 109 ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდამ ტურიზმში გაუსწრო აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდას.

3. გამოვლინდა, რომ საქართველოში ტურიზმის დარგის ზრდის ტემპის შენარჩუნების პირობებში, 2028 წლისთვის ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიან დასაქმებულთა 32%-ს გაუტოლდება. ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ განაპირობა ახალი ინფრასტრუქტურისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. აღნიშნული დადებითი ტენდენცია, დღის წესრიგში აყენებს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

4. დადგინდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამი-

ნისტროს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების უუნარობა და სისუსტე, ტურიზმის განათლებასა და პროფესიათა სწავლებაში, განაპირობებს მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირესა და შესაბამისად, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების დაბალ დონეს. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია ტურიზმში შრომის ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსთან.

5. გაანალიზებულ იქნა დასაქმების მექანიზმები, როგორც აქტიური და პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტების ერთიანობა. არ არსებობს ერთიანი მიდგომა და ხშირად პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევანი განპირობებულია ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობითა და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით. დადგინდა, რომ ქვეყნები უმუშევრობის შეზღუდვისა და შრომის ბაზრის განვითარებისათვის იყენებენ დასაქმების პოლიტიკისა და ინსტიტუციური მოწყობის მსოფლიო გამოცდილებას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

6. გამოვლენილია საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობასთან დაკავშირებული მონაცემების სიმწირე, რაც არ იძლევა დარგის განვითარებაში მიმართულებებისა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის საშუალებას. ასევე, აქტუალურია საქსტატის მიერ „უცხოელ ვიზიტორთა“ და არა „ტურისტთა“ კვლევა/სტატისტიკა, რომელიც არარელევანტურია სახელმწიფო ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სათანადო შეფასებისათვის.

7. დადგინდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები აწყდებიან 2 პრობლემას: მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს ან საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება მთლიან საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, განსაკუთრებით, სასტუმროებსა და რესტორნებში.

8. აჭარაში უმაღლესი და პროფესიული სკოლების მიერ ფიქსირდებ ა კურსდამთავრებულთა, დაახლოებით 75%-იანი დასაქმება, ხოლო კვლევით დასტურდება, რომ ტურისტული საწარმოები აწყდებიან კვალიფიციური

კადრების დეფიციტს. დადგინდა, რომ უმაღლესი და პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაციისა და უნარების გამო ძირითად ტურისტულ საწარმოებში დასაქმებულთა 69% მეტი მოდის შიდა ტრენინგებგავლილ და საშუალო განათლების მქონე კადრებზე, ხოლო 31%-ი ტურიზმის უმაღლესი და პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულ კადრებზე. აჭარის არ-ში ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემასა და დასაქმების ბაზარს შორის არსებული „შეთანხმებლობა“ განაპირობებს უმუშევრობის მაღალ პროცენტს რეგიონში.

9. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით გამოვლენილ იქნა ე.წ. „ტურისტული ტალანტის“ რესურსის დეფიციტი და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. 2024 წლის პროგნოზით, ადამიანური რესურსები, ე.წ. „ტალანტების“ დეფიციტით მიღებული ზემოქმედებით გლობალურ ეკონომიკას დააკლდება: პირდაპირი ინდუსტრიიდან 5,5 სამუშაო ადგილი და მშპ -ში 270 მლრდ აშშ დოლარი (2013 წლის გაცვლითი კურსით) ანუ გლობალურ მოგზაურობასა და ტურიზმში დასაქმებულთა ზრდა შემცირდება 4,4%-ით, ხოლო ტურიზმის წილი მშპ-ში 8,0%-ით. 2024 წლამდე ტურიზმში დასაქმების ყოველწლიური ზრდა შემცირდება 2,0%-იდან 1,6%-მდე, ხოლო მშპ - 4,2%-იდან 3,3%-მდე.

10. სასწავლო პროგრამების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში მთავრობის, ტურიზმის ინდუსტრიის, საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და დარგის სხვა მონაწილეების კოოპერირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის კადრების (ტალანტების) აღზრდისა და მიზიდვის საქმეში, აღნიშნულ კოოპერირებასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა „ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელი“. მოდელით განსაზღვრული ინსტიტუციების მჭიდრო კავშირი და კოოპერირება, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული კოლეჯებისა და ტრენინგ ცენტრების დონეზე სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით, შესაძლებელს გახდის შრომის ბაზარს მიეწოდოს მაღალკვალიფიციური

კადრები და გადაიჭრას, როგორც შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები, ასევე ხელი შეეწყოს დასაქმებისა და შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრის არსებულ გამოწვევის დაძლევას.

რეკომენდაციები

1. საქართველოს გარემოს მიმართ არსებული გამოწვევები საჭიროებს გადაწყვეტას მდგრადი ტურიზმის განვითარების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობითა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების გზით, იმგვარად, რომ "დაბალანსებული იყოს ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვა და სოციალური განვითარება";

2. დასაქმებულთა რაოდენობისა და ახალი სამუშაო ადგილების ზრდასთან დაკავშირებული მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს დადებითი პროგნოზის მიუხედავად, საჭიროა გადაიხედოს საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; მიზნობრივად განვითარდეს ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რათა ტურისტთა რაოდენობის ზრდამ გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მეტი ზიანი არ მოუტანოს ქვეყანას, ვიდრე მოკლევადიან პერსპექტივაში „გაზრდილი“ შემოსავლებით მიღებული სარგებელი შეიძლება იყოს;

3. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფისა და სწორი მარკეტინგული ღონისძიებების საშუალებით ქვეყანამ უნდა შეძლოს არა მხოლოდ ყოველწლიურად გაზარდოს ტურისტთა რაოდენობა, არამედ ტრადიციული ქართული და პროფესიულად მაღალი დონის მასპინძლობით შექმნილი შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით მიიზიდოს მსოფლიოს მასშტაბით ნაკლები რაოდენობის, მაგრამ ე.წ. „მაღალგადახდისუნარიანი“ ტურისტები;

4. საქართველოში არსებული უმუშევრობის დაძლევა უნდა მოხდეს: ა) შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოქნილი, ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენციების განვითარება და კონ-

კურენტუნარიანი კადრების მომზადება ტურიზმში; ბ) მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა; გ) ტურიზმში საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უმაღლეს და პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადებისა და უწყვეტი გადამზადების პირობებში;

5. საქსტატი საჭიროებს თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას და ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის დარგში დასაქმებულთა სტატისტიკური მონაცემების სანდოობას და რეალისტურობას. აღნიშნული ცვლილების განხორციელებამ საქართველოს ტურიზმში პოლიტიკის გამტარებელ უწყებას საშუალება უნდა მისცეს სწორად განსაზღვროს ახალი სამუშაო ადგილების საჭიროება და შესაბამისად, პროფესიული კადრების რაოდენობა პროფილისა და სფეროების მიხედვით. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, განსაკუთრებით აქტუალურია საქსტატი გადავიდეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ ტურიზმის სტატისტიკური კვლევების მოდელზე;

6. პროფესიული სწავლების დაგეგმვა, ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შრომის ბაზრის შესწავლითა და კვლევით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა ხორციელდებოდეს, სადაც ცალ-სახად უნდა გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი სპეციალობები, მათი რაოდენობა და მათთვის საჭირო უნარებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამები.

7. ადგილობრივი ხელისუფლებისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ საჭიროა ჩატარდეს ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევები შემდეგი მიმართულებით: 1. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობებისა და მათთვის ადამიანური რესურსის რაოდენობის დასადგენისთვის, 2. ე.წ. „მისტიური კვლევა“ (კონკრეტული ქეისებით)

მომსახურების ხარისხის მონიტორინგისთვის და 3. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნის მონიტორინგის მიზნით.

8. ტურიზმის სასწავლო პროგრამების კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს მათ გამიჯვნას 3 მიმართულებით: 1. იმ სპეციალობების სატრენინგო კურსები, რომლებზეც შრომის ბაზრის მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას (მაგალითად, სხვადასხვა მიმართულების გიდების, ტუროპერატორების, ანიმატორების, ავიაგადაზიდვების დაჯავშნის სპეციალისტების და ა.შ.), 2. გადამზადების კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის და 3. ტურიზმის პედაგოგთა გადამზადებელი სემინარები და ვორქშოფები.

9. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლების, საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მთავრობის მჭიდრო ურთიერთობითა და ერთობლივი ღონისძიებებით შესაძლებელი უნდა გახდეს ტურიზმის მომავალი კადრების მომზადების პროცესის დაწყება სკოლებიდან და გაგრძელდეს პროფესიულ კოლეჯებსა და უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა (არატურისტული პროფილის) სასწავლო გეგმებში ტურიზმის ჩართვით;

10. ტურიზმის დარგის სწრაფი განვითარების მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე, საჭიროა გააქტიურდეს სხვა დარგებიდან ე.წ. „ტურიზმის ტალანტთა“ მიზიდვა დარგში. მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სხვადასხვა მიმართულებებსა და ფაკულტეტებზე სასწავლო არჩევით კურსად შევიდეს ტურიზმის გაცნობითი კურსი. ასევე, მოკლევადიან კურსებსა და ტრენინგებზე უნდა მოხდეს მომიჯნავე დარგების სპეციალისტთა გადამზადება, რომელთაც თავისი ძირითადი განათლებითა და უნარებით შეეძლებათ ტურიზმში ნაცოფიერად მუშაობა.

ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს ტურიზმში ადამიანური რესურსების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც შესაძლებელს გახდის ქვეყანაში შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, განსაკუთრებით მის რეგიონებში. შრომის ბაზრის მოთხოვნების დაბალანსებით განათლებასთან შეიზღუდება

უმუშევრობა და დაძლეულ იქნება ქვეყნის მთავარი პრობლემა - სიღარიბე.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი I – „ტურიზმი - მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი სექტორი“ (09.03.2019);
2. კოლოკვიუმი II – „ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემა და დასაქმების ბაზრის განვითარების თეორია და პრაქტიკა“ (25.07.2018).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორები, ჟურნალი ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2, 2019, გვ., 141-157.
<http://economics.bpengi.com/home/2019/01-02>
2. „საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზრის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობები დასაქმების თანამედროვე ფაქტორის - „ტურიზმის ტალანტის“ დანერგვის საშუალებით“, ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2, 2019, გვ., 123-141, <http://economics.bpengi.com/home/2019/01-02>
3. “საქართველოში ტურისტულ პროფესიათა მოთხოვნა-მიწოდების პრობლემების გამოკვლევა (აჭარის არ-ს მაგალითზე)”, ჟურნალი ეკონომიკა, №3-4, 2019, გვ. 96-107.
<http://economics.bpengi.com/home/2019/03-04>

კონფერენციები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაცია და ბიზნესის გამოწვევები“, მოხსენება: „ტურიზმის პროფესიული განათლების სისტემის მდგრადობა საქართველოში“, 2018 წლის 25 -26

მაისი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის, მე-
დიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეექ-
ვსე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციაზე - IEC 2018 „ეროვნული
ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, მოხსენება:
**"დასაქმების პოლიტიკის ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი მიმარ-
თულებები"**, 2018 წლის 13-14 ოქტომბერი.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფა-
კულტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალი-
ზაცია და ბიზნესის გამოწვევები“, მოხსენება: **„საქართველოს შრომის
ბაზრის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა ტურიზმის
მიმართულებით“**, 2019 წლის 24-25 მაისი.